ოქმი:**ო02. 3722335001**

თარიღი:**01/12/2022**

ოქმი № 24

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 24 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. კილაძე, ვლ. ხავთასი, ნ. მახარაძე, ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი. თ. ტუღუში, გ. კილაძე, ალ. ბურჭულაძე, გ. სირაძე, თ. ნიკოლაშვილი, დ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: გ. ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ და თანამომხსენებელს სთხოვა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე. საკითხთან დაკავშირებით, ვრცელი ინფორმაცია საკრებულოს წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა გ. ჩაგანავამ. ამის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსებისას კონკრეტულად არ არის ჩაშლილი ლოკაციები, მაგალითად საგზაო ინფრასტრუტურის დაფინანსებაზე გამოყოფილია მილიონი ლარი, მაგრამ სად მოხდება გზების რეაბილიტაცია კონკრეტულად არაა მითითებული. ეს აზრი გაიზიარეს კომისიის წევრებმაც, ამასთან აღნიშნეს, რომ პროცენტულად მიმდინარე წელს მეტი თანხაა გამოყოფილი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ვიდრე 2023 წლის პროექტში. საბოლოოდ კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის წინადადებას ბიუჯეტის პროექტის, საკრებულოს სხდომაზე განხილვის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერიისათვის გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, დაბრუნების შესახებ.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე განხილვის შემდეგ, გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების შესაბამისად კორექტირების მიზნით, დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი